



ივრი

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებთა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერეთელის
გამაგრ. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ. მეორეზე—8 კაპ.

„ივრის“ ტელეფონი №227

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
01	8	5	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივრის“ ტელეფონი № 227.

დეკანოზი პეტრო კონსტანტინი და კაპიტანი **ივანე დიმიტრის ძე მახვილაძე** მეუღლითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი ძვირფასის მეუღლისა თვისისა, ხოლო მეორე ღისას და მესამე მეუღლისა თვისისა **პატია დიმიტრის ასულის კონსტანტინისა**, სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზე დასასწრებლად დღეს, 23 იანვარს, დილის 10 საათზე, გაბაშვილების ვიწრო ქუჩა, № 9, საიდანაც მიცვალებულს წასვენებენ იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, რომლის ეზოშივე მიიბარებენ მიწას.

(1-3083-1)

ახალი ამბავი

გუშინ-წინ, 21 იანვარს, ქართულ დრამატიულ დასისაგან წარმოდგენილ იქნა დრამა „პარისის ღარიბ-ღატაკნი“, რომელმაც კარგად ჩაიარა. 24 ამ თვისას, ოთხშაბათს, დანიშნულია ბენეფისი ჩვენის სცენის ნიქიერის არტისტის ბნ გედევანოვისა. მობენეფისე სდგამს პიესას „ფიგაროს ქორწინებას“, რომელიც საუცხოოვო რამ არის და იმედია ჩვენი არტისტებიც მობენეფისესთან ერთად მართლაც კარგად ითამაშებენ. ბნს გედევანოვს უკვე დიდი ყურადღება აქვს მოპოვებული ქართველს

საზოგადოებაში და, იმედი უნდა ექონოთ, ეცდება იგი დაუმტკიცოს მობენეფისეს, რამდენად პატივს სცემს მისს ნიჭს.

სამშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 7^{1/2}, საათზე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სხდომაა დანიშნული. სხდომა განიხილავს მიმდინარე საქმეებს, საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვასა და ხარჯთ-აღრიცხვას საბაღოსნო სკოლისას ამ 1896 წლ. (საზოგადოების გაზეთისა და ბიუროს ორგანიზაციის შესახებ). სხდომას გარეშე პირნიც შეიძლება დაესწრნენ.

გუშინ, 22 იანვარს, სახალხო მა-

ტარებელი, რომელიც ბათუმიდამ ტფილისში ჩამოდის ხოლმე უშადლი-სას, ვერ ჩამოვიდა, რადგანაც ბელაგორში საშინელი დიდი თოვლია თურმე. მიმოსვლა ტყიბულისაკენ დიდის თოვლისა გამო მთლად შეწყვეტილია.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან 20 იანვრიდამ ტელეფონის სადგური იქნა გახსნილი. მსჯერველს შეუძლიან ქალაქის ყველა აბონენტებთან ლაპარაკი, რაშიაც გარდაიხდის სამს შაურს 3 წამის განმავლობაში. აქ ანგარიში არ შედის თვით აბონენტის გამოწვევა.

გუშინ, 22 იანვარს, სადგურ ხაშურში, დილის რვა საათზე საქონლის მატარებლის, № 4 ის ვაგონები ლიანდაგს გადასცდნენ. ერთი კონტაინერი და კიდევ რამდენიმე სხვა მძიმედ დაშავებულნი არიან. დაშავებულთა გარდა მკადარი არის ვინმე თუ არა, ეს ჯერ არ იციან.

გუშინ წინ, 21 იანვარს, ტფილისის რეალურ სასწავლებელში წლიური აქტი იყო. ნაშუადღევს პირველ საათზე დიდი დარბაზი რეალურ სასწავლებლისა ხალხით გაი-

სო. აქტს დაესწრნენ: კავკასიის ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ამავე სასწავლებლის საპატიო მზრუნველი ბ. ნი მანთაშვილი, სხვა გიმნაზიებთა დირექტორნი და ინსპექტორნი, სპარსეთის კონსული, მშობელნი მოსწავლეთა და მრავალნი გარეშე პირნიც.

დარბაზი მშვენიერად იყო მოართული სხვა-და-სხვა შტო-გრებილებითა და ყვავილებით.

მოსწავლეთაგან შემდგარმა ხორომ მშვენიერად იგალობა რამდენიმე საგალობლები. ამავე სასწავლებლის დირექტორმა ა. დ. ტრიუტინმა წაიკითხა სასწავლებლის ანგარიში 1884—და 9 წლისა. სიტყვა წარმოთქვა ამავე სასწავლებლის მასწავლებელმა ბნმა ია. ს. ლულაძემ, „ფრანგ-რუსთა კავშირის“ შესახებ, რომელმაც ხანგრძლივი ტაშის ცემა და „ვაშა“ გამოიწვია დამსწრე საზოგადოებისა. ამ სიტყვის შემდეგ მოსწავლეებმა კიდევ იგალობეს რამდენიმე საგალობლები და შემდეგ რჩეულთ დაურვიდათ ჯილდო, როგორც მხატვრობისა, ისე საზოგადო საგნებდგან ბეჯითად სწავლისთვის. განსაკუთრებით მხატვრობისათვის პირველი ხარისხის ჯილდო მიიღო ქართველთაგან: კუუსელიძემ და სა-

რაჯევმა. საზოგადო საგნებდგან მეორე ხარისხის ჯილდო მიიღეს ქართველთაგან: გველესიანმა, ძნელაძემ და ანდრონიკაშვილმა.

ლონდონის გაზეთებში სწერია, რომ რუსის ემიგრანტი, რომელსაც „სვედონიმილ ერქვა „სტენიაკ“, რკინის გზის მატარებლის ქვეშ მოჰყვა და იქავ განუტევა სულით. მართალი გვარი იმისი არის—კარაქოვსკი. ამან მოჰკლა ხანჯლით გენერალ-ადიუტანტი მეზენცოვი პეტერბურგში 1878 წ. მკათათვეში დღისით და გაიქცა წინააღმდეგ დაშავებულ ეტლით. მერე გადავიდა ინგლისში და იქ სწერდა ინგლისურ ჟურნალებში. (ბ. ვ.)

რკინის გზათა დეპარტამენტში ამ მოკლე ხანში შეკრებილ იქნებოა კამისია, რათა გამოარკვიოს საშუალება, რომლის ძალითაც საქონლის საზიდავად რკინის გზებს უფრო მეტი სისწრაფე მიეცეს და უფრო ჩქარა იარონ ხოლმე. (ბ. ვ.)

რკინის გზების გამგებელთა შორის ლაპარაკია მასზე, რომ ჩვენებურ ნავთის გატანას შეუღავთი მიეცეს და მისი გადახდაც გაიფხვრულ იქნას

ფელეტონი

სკოლა და ბანკი.

I
თექვსმეტი წელიწადია ვწეწავთ და ვჯიჯგნით ამ საცოდავს ღარიბთა თავად აზნაურთა შვილთა სასწავლებელს. თექვსმეტი წელიწადია ვსწავლობთ ამ სკოლის თავზედ დალაქობას. ჩვენთვის არც დროს, არც გარემოებას, არც ეპითა-ვითარებას, არც გამოცდილებას არა ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. ჩვენ გადავედით უტოპიაში, გავბერეთ ისრედაც ჩვენი ცხოველი ოცნება, ჩავიდეთ ბანკის მოწყალეობით ერთი ხუთი გროში ჯიბეში, მოვმართეთ ათასი პლანები და დავიპყრით ხელთ მთელი ცა და ქვეყანა. გავმართეთ, ისრე უბრალო სასწავლებლები-კი არა, რისაც სახელმწიფო კანონები ნებას გაძლევენ. ვინ გაკადრა! ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია ვის ეკადრება! სულ გაცვეთილი გულის ძირას ჩავტენეთ და ვლესეთ და ვლესეთ სკოლის თავზედ ჩვენი ბლანგვი სახსლევა სამართებელი იქამდის, რომ სკოლამ მომავლედის ხმით იწყო ჩხავილი: ვინა ხართ ქრისტიანები, მომხედეთ, მიხსენით ამდენი ცრუ დალაქებისა, კომისიებისა და პედაგოგიური ცუნდრუკებისაგან, თორემ აგერ საცაა სული ამომხედება.

ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში თექვსმეტზე მეტი პროექტი შესდგა შინა თუ გარედ ამ სასწავლებლის საჯიჯგნ-საწეწავად და დღესაც

კიდევ ვერ დავიყენებთ იმ საძირკველზედ, როგორსაც მოითხოვს დროისა, გარემოებისა და საფუძვლიანობის საჭიროება.

ჩვენ არ დავაჯერეთ ეს სასწავლებელი იმ საქარზედ დგომას, რომ ხან ერთი ქარი უხრიდა თავს, ხან მეორე. ჩვენ ვჯიჯგნეთ და ვწეწეთ ეს სასწავლებელი ხან აღმა და ხან დაღმა. ხან ავსწიეთ ხუთ კლასამდის იმ პირობით, რომ გადაგვექცია სრულს გიმნაზიად და შეგვეძინა მისთვის სახელმწიფო გიმნაზიათა უფლებანი, ხან შემოსეულთა შეთქმულთა ხელით ვკარით ჰიტლაცი და ვუწყეთ ნგრევა: გადავანგრეთ მეხუთე კლასის, გადავფუშეთ მეოთხე, გადავფუშეთ მესამე და წავეტოტინეთ დანაშთენების ნგრევასაც და დავანგრედით კიდევ, რომ საზოგადოება უცებ არ მოსულიყო გონს და არ შეეძახნა: ხელი! ხელი! გეყოთ ამდენი ჩვენი მასხარაობა, ჩვენი ერთად ერთი ღვიძლი შვილის და მომავალი ბედის წამება!.. და აქედამ უწყეთ ისევ შენობა ნანგრევთა ზედა მას, რაც უკუღმართთა შეგონებით დანგრეულიყო.

არც ამგვარს წეწვას დავაჯერეთ. ჩვენ უწყეთ ჯიჯგნა სხვაფრივ. ჩვენ აქაც გვინდა გვეჩვენებინა ქვეყნისათვის, რომ ჩვენ სულ სხვა ფერადებიდამა ვართ ნაქოვნი, და ნურავის ვეგონებით ვილაცა პესტოლოც-მესტოლოცის, დასტერველ-მისტერველის ცალეზიო. ევროპის მაგალითებით! ფიჭ, ევროპა! ფიჭის ქვეშეთი!.. და როგორა გგონიათ, რა ვასწავლეთ ქვეყანას ახალი ამ სკო-

ლის თავზედ? გადავსწყვიტეთ: ვისაც სკოლის ხარჯით მივიღებთ, იყვეს სკოლის ხარჯზედ, ვიდრე პირველს კლასში გადავა, მემრე სკოლის ულუფა და ხალათები ჩამოერთვის და დარჩეს თავისი ნათესავების ამაზრავა. აბა, ჩემო მკითხველო, რომელი პესტოლოცი, რომელი ევროპა, რომელი ამერიკა მივა ამ პედაგოგიურს მოსაზრებამდის? იქ აქამდის არა სკოლნაა, რომ თუ ვინმემ პირველს კლასსამდის შეილი შეგინახა, მემრე ისრე გაკეთდები, რომ შენი შვილის სხვისაგან შენახვა საჭირო აღარ იქნება... ამგვარად ჩვენ, ღრმა და ევროპისათვის უცნობი პედაგოგიური მოსაზრებებით მზა გამზადებული სწავლის გასავრცელებლად დარბი უსახსრო ყმაწვილები გამოვრეკეთ ტრიალს მინდორზედ, ვკარით პანდური და ვუთხარით: მიბრძანდით, სადაც გნებავდეთ, შეინახეთ თავი და ისწავლეთ, როგორც იცოდეთ!.. რა სარგებლობა მოჰქონდა ამ ევროპისათვის ახალს პედაგოგიურს სისტემას? აი რა. ბავშვი, შვილი უსახსრო ოჯახისა, ოთხს-ხუთს წელიწადს მოშორებული ოჯახს, გადაჩვეული სოფელურს მძიმე მუშაობას, შეჩვეული სასწავლებელში კარგს საუკუელს, კარგს საცმელს, კარგს სახლს, —ბრუნდება შინ ყოვლად უვარგისი ოჯახისათვის, ბევრის მომთხოვნი და არაფრის გამკეთებელი, ტვირთად და შემაწუხებლად ისრეც დაცემულის და გაქრვებულის ოჯახისა.

ჩვენებურმა პედაგოგიურმა აზროვნებამ არც აქ შეიკვეცა ფრთები. ჩვენ

გვინდოდა დაგვეტყვიებინა ქვეყნისათვის, რომ შეიძლება ყოფნა გარე ყოვლისა სივრცისა, გარემოებისა და ეპითეებისა. ჩვენი სკოლა არ იყო გიმნაზია, არა ჰქონდა უფლებანი სახელმწიფო გიმნაზიათა. ჩვენს შვილებს ამ სასწავლებლიდამ ვამზადებდით სახელმწიფო გიმნაზიებში გადასაცვანათ. რომ ჩვენი შვილები მიეღოთ, იქა, საჭირო იყო, რომ არა ყოფილიყვნენ ისინი იმ ხანს გადასულნი, რა ხნისასაც იღებენ იქა, და დატვირთ ეგზამენი თავისი ხნის შესაფერს კლასში. ევროპელნი და პესტოლიცი ასე მოსაზრებდნენ: ჩვენ ყველა კლასებში ის პროგრამა შევიტანოთ, რა კლასში რა პროგრამაც მოქმედობს სახელმწიფო გიმნაზიებში, რომ ჩვენთა შვილთა შექმლოთ იქ შესვლა. ჩვენმა პედაგოგიამ სხვა მოსაზრა, რაც პესტოლიცის და ევროპას თავის დღეში თავში არ მოუვიათ. ყველა საგნების სწავლება ყველა კლასებში ვიწყეთ იმ პროგრამით, რა პროგრამითაც მიდის სწავლა სახელმწიფო გიმნაზიის კლასებში, ბერძნული ენის სწავლება-კი ვიწყეთ შემდეგი კლასიდამა. აქედამ აი, რა მოგების გზაზედ დავაყენა ჩვენმა პედაგოგიამ: ბევრს ჩვენს მოსწავლეს გაუვიდა ხანი და ველარ შევიდა გიმნაზიაში. ამასთან ჩვენი სკოლის შემგირდი, რაც გინდა კარგი მომზადებული ყოფილიყო და ხანიც შეგფერებოდა, გიმნაზიაში მანც იმავე კლასში უნდა გადასულიყო, რომელი კლასი კიდევ გაეთავებინა, რადგან ბერძნული არ იცოდა და უნდა მით-

ლი წელიწადი ტყუილად დაეკარგა ისედაც ჩვენს დაუსრულებელს და ჯანისა და ღონის მომღებს სწავლაზედ.

ნუ გგონია, მკითხველო, ან ამითი გათავდა წამება სასწავლებლისა.

დავარდინეთ ერთხანად, რომ გარდა მათი, ვისაც სკოლა ინახავდა თავის ხარჯით ან ნახევარ ხარჯით, მიგვეცა შემწეობა გარედან მოსიარულე შემუღებელთა ბავშვთათვის. ზოგს დაენიშნა იმ გადაწყვეტილების ძალით შემწეობა სკოლის ფულიდამ თვეში თუმანი, ზოგს რვა მანეთი, ზოგს ხუთი, ზოგს სამიცა. ამგვარი მკირეოდენი დახმარებით ჩვენ ვაყენეთ რიცხვი მოსწავლეთა სამასამდის და როგორც მასხოვს ზევითაც. ერთს შენს მოწონებულს დღეს, როდესაც შემოსეულთა დაიქირეს სკოლა და განდევნეს რაზნაჩინება და მათთან დედაბოძი სკოლისა, მივედით საზოგადო კრებაზედ. გვიკითხავენ ანგარიშს და ვტყობულობთ, რომ სასწავლებელს ორასამდის მოსწავლე ბავშვი მოჰკლებია. ვკითხხავთ: „რა იქნენ ეს ორასამდის მოსწავლენი?“ —წავიდნენ! — გვიპასუხებენ ამაყად „მიზეზი?“ — მიზეზი ისა, რომ შემწეობა აღარ მივეცით. „რა-ტომ?“ — მიტომ, რომ ჩვენი მიცემული ფული არა ჰყოფნოდით სუბრთათ ჩაეცათ, დაეხურნათ, კარგს სადგომში მდგარიყვნენ და ზოგს დედებიც აქ ჩამოსვლოდნენ საცხოვრებლათ. ამიტომ ჩვენ მოუსპეთ შემწეობა. რა-კი მოზობლებს შენახვის თავი აღარა ჰქონდათ, წაიყვანეს აქედამ თავისი შვილები. — განა სიღარიბისათვის უნდა

საერთოდ და ნამეტნავად სამხრეთით რუსეთის ნავთ-სადგურზე მოსატანად. (6. ვ.)

„ნოვოე ვრეშა“ ამბობს, რომ იმიერ-კავკასიაში თან და თან უფრო ბევრი უცხოელი ხალხი მიდის და სახლდება. მამულებს ისინი იქერენო, მაშინ, როდესაც ჩვენი შიდა გუბერნიების გლეხ-კაცობა ეძებს და არ იცის სად იშოვოს მამულები და სასახლეებად და იძულებულია შორს ციმბირში გადავიდეს. მთავრობას მიუქცევია ეხლა ამისათვის ყურადღება და მიწათ-მოქმედ და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შესდგომია და მალეც გაათავებს გამოაკვა ოს ვითარება შავის ზღვის პირის მთიან ადგილებსა, საცა ჰაერი უფრო კარგია საცხოვრებლად და მიწაც ხელს მისცემს ახალ-მოსახლეთათა. ამას გარდა იმავე სამინისტროს უკვე შეუდგენია პროექტო ახალის წესებისა, რომლის მიხედვითაც უნდა დაურიდეს შავის ზღვის ოკრუგის სახელმწიფო მიწები გადასახლებულთ ვენახების და ბაღების ან სხვა რაისიმე გასაშენებლად. ეს პროექტი უკვე გაუხინჯავსო კავკასიის მთავარ-მართებელსა და ამ სახით ეხლა წარდგენილია სახელმწიფო საბჭოში განსახილველად.

გუშინ ომშესტენის ქუჩაზე საკუთარ სახლში თავი მოიწამლა ვასილ პირზოვევი, ახალგაზდა ყმაწვილი კაცმა, რომელსაც შეჰყვარებია ცირკის ერთი არტისტი ქალი. პირზოვევი მაშინვე საავადმყოფოში გაგზავნეს.

ამ ჟამად ტფილისის სახელმწიფო

იღვინებოდნენ მოსწავლენი სასწავლებლიდან? განა ეს სასწავლებელი ღარიბთათვის არ არის დარდენილი? ეკითხები ამ ძალათ პედაგოგებს.— ჩვენი სასწავლებელი ბოლადელნი არ გახლავთ, რომ სამადლოები თავზედ მოიხვიოს! მოგვცემა პასუხი. ევროპაო! ამერიკაო! განა იმათ ამგვარი გონიერული მოსაზრება მოუვით თავში! დედისა შვილთან, უსუსურს შვილთან ყოფნა НЕПЕДОГОГИЧНО! ღარიბი კაცისა თავისივე ფულით აღზრდა ნიშნავს ბოლადელნიას! მშობერთა და შიშველთა აღზრდა აНТИПЕДОГОГИЧНО! ТО-ЛИ ДѢЛО მაზიდას კაქკაქები! განა ევროპაში მოახერხებენ კაქკაქები გააქადგოგონ?! და ჩვენში კი ЭТО ПЕДОГОГИЧНО!..

მაგრამ ეს ვის ეკადრება. დაუგდეთ უკეთესებს ყური. ჩვენი დღენი მთავრობას სულ იმას შევტრით, რომ მოსაზრებელი კლასები რათ მოსპე და სადაც არ მოსპე, ამ კლასებში კონკურსნი ეგზამენები რათ შემოედგოს: ჩვენ ღარიბნი ვართ, სოფლელი ხალხნი ვართ და არა გვაქვს შეძლება სხვა ხალხთ, ქალაქებში მცხოვრებთ კონკურსნი გაუწიოთ, ამიტომ უსწავლელნი ვრჩებით. ლოლიკა რას თხოულობდა აქა?— რომ ჩვენ ჩვენსავე სასწავლებელშიავცილებოდით იმ შეცდომას, რაშიც ვამტყუნებდით სხვას. მაგრამ უკაცრავად! ლოლიკა ჩვენს დედანში სადა სწერია. კაქკაქთა პედაგოგიამ აღიარა, რომ კონკურსნი ჩვენს მოსაზრებელს კლასებშიაც უნდა შემოვიდოთ. და გაიყვანეს კიდევაც ეს აზრი კრებაში. სიტყვით, ჩაად-

გამგეობაში ტფილისის გუბერნიატორის განკარგულებით კვირაში სამჯერ არჩევანია ამქრების უსტაბაშებისა, მათ ამხანაგებსა და ამქრის ხმოსნებისა. გუშინდლამდე გათავდა არჩევანი ორმოც ამქარში და დარჩა კიდევ 22. ამ ოც-და-ორ ამქრის არჩევნის გათავებას თებერვლის ბოლოს მოელოან და მარტის პირველ რიცხვებში ამ ახალ არჩეულთა უსტაბაშებმა მათ ამხანაგებმა და ამქრის ხმოსნებმა (თითო ამქარში ორ-ორი არიან) უნდა ამოიჩიონ ხელმძღვანელთა თავი ტ. ნაუმენკოს აღაგას, რომელსაც ვადა გაუთავდა. ამავე დროს გუბერნიატორის მიერ დანიშნულია რევიზია სახელმწიფო გამგეობისა. ამ გამგეობის ძველი მდივანი სარქისოვი დათხოვილ იქმნა სამსახურიდან. მომავალ კვირას ხელმძღვანელი უნდა შეიყარნენ გამგეობაში ღარიბთა ხელმძღვანელთა, მის ქვირე ობლებსათვის თავშესაფარის გასამართად ღონის ძიების გამოსაკვლევად.

ამას წინააღმდეგ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ შვიდი სომეხთა საეკლესიო სკოლები გადადის საერო განათლების სამინისტროს მხედველობაში. ამ ჟამად ამის შესახებ ოფიციალურ წყაროდან შემდეგს გვატყობინებენ. სომეხთა სკოლების გადაცემა ტფილისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორის ხელში დანიშნული იყო 11 იანვარს და ამ დღეს მიიწვიეს სომეხთა საეკლესიო სკოლების გამგე და გამოუცხადეს ეს განკარგულება მთავრობისა. სომეხთა საეკლესიო სკოლების გამგე გამოუცხადა პოლიციმეისტრს და საერო სასწავლებლის დირექტორს რომ მე-

თავად-აზნაურთა შვილთა შევსწიროთ ესაო! ჯერ ესა ვთქვათ: სწავლის ბოლადელნიობაზედ ვინ გვეპასუხებინან?— კაცნი, ევროპაში დაზრდილნი, ცხრა უმაღლეს სასწავლებელს გავლილნი, ცხრა ენაზედ მაშტვენარნი და მღალადებელნი! რა უთხრა ამათ ევროპამ სწავლის შესახებ?—სწავლა საყოველთაო, სწავლა სავალდებულო, სწავლა უსასყიდლოვო. ვინა სთქვებს ესა? უკეთესთა ევროპისა და ამერიკის პედაგოგთა, უკეთესთა ქვეყნის მზრუნველთა, უკეთესთა მოღვაწეთა, უკეთესთა მეცნიერთა. მაგრამ!..

მაგრამ ისა, რომ ის ევროპა, ის ამერიკა, და ჩვენ?!.. ჩვენ... სივრცისა და ეამიერების გარე მყოფნი... მამიდას კაქკაქნი, რომელთაც მთელი კაცთა ლექსიკონებიდან დაგვისწავლია ორი სიტყვა: შაქარი მარტისა!.. ჩვენი შკოლა ბოლადელნი არ არისო!.. ვისთვის ხდება ჩვენი შკოლა ბოლადელნი იმ წესში, რა წესიც შემოიტანეს ამ ქარისბერტყია მოღვაწეთან სკოლაში? ჯერ ერთი ეკითხოთ ამათ, როდესაც მოახდინეს შეთქმულობა ამ სკოლაში შემოსახლად, წაიკითხეს სათაური და პირველი პარაგრაფი მინც არის იმ წესდებისა, რისაც აღმსრულებელნი უნდა ესენი განხლარყვენ? რა აწერია თავშივე ამ წესდებას და რა სწერია პირველსავე პარაგრაფში? აი რა: „Общество... имѣть пѣлью содѣйствовать въ полученіи образованія дѣтямъ неимущихъ“

სკოლების გადმოცემა არ შემოიძლიან მისს უწმინდესობის სომეხთა კათოლიკოსის ნება დაურთველად და იმავე დღეს მან დღემით აცნობა ეს გარემოება კათოლიკოსს ექმიანში. სომეხთა კათოლიკოსმა დღემითვე მიანდო ადგილობრივ სომეხთა ეპარქიის უფროსს მთავარ-ეპიკოპოსს სურენიანს სთხოვონ კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილეს სკოლების გადაცემის დროებითი გაჩერება სანამ მის უწმინდესობას პასუხი მოუყვადნა. შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრებისაგან ამის შესახებ. გენერალმა გრაფმა ტატიშჩევმა ამ თხოვნაზე მის ყოვლად უსამღვდელოესობას გამოუცხადა, რომ სკოლების გარდაცემის შეჩერება არ შემოიძლიან, რადგანაც მთავრობის განკარგულება მოხდა ამ საგანზე. შვიდი სომეხთა სკოლა: გაიანესი, ანანოვისა, სურფენისა, ნორაშნისა, თანდოვისა, ავლაბრისა და ნავთლუხისა თუმცა ირიცხება სომეხთა საეკლესიო სკოლების რიცხვში, მაგრამ ეს სკოლები სრულიად საეკლესიო არ არის და ინახება არა ეკლესიების ფულით, არამედ სომეხთა საქველ მოქმედო საზოგადოების მიერ, და ამიტომ ეს სკოლები საერო სასწავლებლების დირექციის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა იყოს, ანუ თუ ეს არ მოინდომეს, უნდა დასახლებული სკოლები დაიკეტოს. ამ გვარი უწყება გუშინ პოლიციმეისტრმა, კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებისამებრ, გაუგზავნა სომეხთა საეკლესიო სასწავლებლების გამგეს და დღეს მიწვეულია იგი თანდოვის

ში... მაშასადამე, ვისთვის იქნება შკოლა ბოლადელნი: ღარიბთათვის, რომელთათვისაც სასწავლებელია დარდენილი, თუ შემძლებელთათვის, რომელთა ხსენებაც-კი არ არის ამ წესდებაში. ეს ვნახეთ რომ წესდება არის შემდგარი მხოლოდ ღარიბთათვის. ახლა ვიკითხოთ: ვინ ინახავს ამ სასწავლებელს? ბანი. ვინ დაარდინა ბანი? წიკითხეთ პირველი სია დამფუძნებელთა და ჰნახავთ, რომ უფრო ღარიბთა, რა აზრით დაარდინეს ეს ბანი? რომ ამისი მოგებით აღზრდილიყვენ ამ ბანის დამრდგენთა შვილები. თუ ღარიბთა დაარდინეს ბანი, წესდება ღარიბთათვის არის შემდგარი, მაშ ღარიბთათვის არის ბოლადელნი ეს შკოლა?!.. იქამდის გაცხოვრდა ჩვენი სურვილი ამ შკოლისა თავისუფლად გლეჯა-ჯიჯგვისისა, რომ, რათა უფრო ადვილად შევძლოთ ამ შკოლის თავზედ ბლავვი დაღარების ღესვა, გავდევნოთ აქედამ სული და გული შკოლისა, კაცი, რომლისთვისაც ეს შკოლა შეარდგენდა თითქმის ნაწილს ამ შკოლისთვის შეეწირა თავისი გადახრილნი, მაგრამ მხურვალე სიყვარულით აღსავსე დღენი; კაცი, რომელიც მართლაც-და აწონვილ გონით ჰზრუნავთ ამ შკოლის საბოლოოდსათვის. ამავე განზრახვით ჩვენ შევცვალეთ წესდება, განსაღვენათ შკოლის სამზრუნველოდამ „რანოჩინცებისა“ და მით ვაძულეთ გაცლა ამ სამზრუნველოდამ მათი, ვინც შკოლის დაარსების დღიდანვე

სკოლაში, რათა საერო სასწავლებლის დირექტორს გადასცეს ზემოხსენებულ სკოლები და თუ არ ისურვა ამ განკარგულების ასრულება, ამავე დღეს დასახლებული სკოლები დაიკეტება და პოლიცია თავისს ბეჭედს დაადებს ამ სკოლების კარებს.

ქ. კავკავი: 14 იანვარს ძლივს ევლირსეთ ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენას. წირვაზე გალობდნენ ქართულად აქაური სკოლის მოწაფენი. ამავე დღეს ხსენებულ ქართული სკოლის მოწაფეებისათვის გამართული იყო შობის-ხე. მოწაფეებმა იმღერეს ქართულ-რუსული სიმღერები და შემდეგ მიიღეს საჩუქრები: ვინ ფეხსაცმელი, ვინ ტანისამოსი, წიგნები; ქალებმა ხელთსაქმე და სხვ. დიდის მადლობის ღირსნი არიან შობის-ხის გამართვაში მონაწილეობის მიმღებნი: ქნი ბარბარე პაპოვისა, ანა რაგავსკია, კნ. ლორთქიფანიძისა და მიხეილ მამაცაშვილი.

ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ამ უკანასკნელ ხანებში უფრო შეუძლოდ არისო.

იქიდავანვე: წარსულ შაბათს დაიწყო დიდი წვიმები და ხანდახან თოვლაც ურევდა; ორის დღის შემდეგ-კი მართლაც საშინელი თოვლი მოვიდა და ამ ჟამად ქუთაისსა და მისს მიდამო სოფლებში ერთ აზრინზე მეტი თოვლი სძევს. ავადმყოფობამაც იჩინა აქეთკენ თავი, უფრო-

თავაწირით ემსახურებოდნენ უანგაროთ ამ სასწავლებელს... იქამდის წაქებდა ჩვენი დაუსჯელათ შექცევა შკოლის ჯიჯგვისით, რომ მიგვიჩნდა სასიქადულლო ქილიმილი შკოლის ფულებისა შკოლის გარე მყოფთა პირთა სასარგებლოდ; ვიქადოდით ღარიბთათა მოსწავლეთა ასობით განდევნას ჩვენი სასწავლებლიდან, და ვთამაშობდით ორიოლს თუ რეშკას შკოლის ბედითა და საბოლოო არსებობით. ნანდელილი მოთხოვნილება შკოლისა, საზოგადოებისა, ერისა, ჩვენი გარემოებისა ჩვენ გაუშვით მხედველობიდან... II

დაუვიწყარი დიმიტრი ყიფიანის შორს-გამქვრეტმა ამ შემთხვევაში გონებამ მოსაზრა და ასწონა მაშინვე, რომ უმთავრესი ჭაქტორი ცივილიზაციისა წარმატებისა არის სწავლა, მეცნიერება, განათლება. ჩვენს ბედზედ ეს მხნე, დიდი გონისა და ნიჭის კაცი, კაცი მოქალაქობრივი გაბედულობისა, იყო იმ დროს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარზლად, როდესაც გამოსდიოდათ მებატონეთა ყმების ფული. ამან ისარგებლა ამითი და შეუდგა ჩვენი სწავლა-განათლების სამკვიდრო საქმეს. ამაზედ მარჯვე დროს ამისთვის ის ველარა ჰნახავდა. იმან განიზრახა გადაეღებინა თავად-აზნაურთათვის ბანკის შესარდგენათ ნაწილი იმ ფულისა, რომელიც გამოსდიოდათ, იმათ ხაზინიდან ყმებში. ის შეუდგა ამ საქმეს გასაოცარი სიმხნევით და ცოდნით. იმან შესძრა ამაზედ მთავრობა, გუბერნიატორი ორლოვსკი, რომ

კი ყვავილია მცხოვრებთა შორის გავრცელებული.

სოფ. ჭაღლიდამ: (შორაზნის მახრა). გვატყობინებენ, რომ იქ წელს მშვენიერი ამინდები თურმე სდვას. ხალხთა შორისაც სრული მშვიდობაა, მაგრამ მინც ვერ ჰგარძნობენ ისე კარგად თავს, როგორც სხვა დროს, რადგან შარშან ღვინის მოსავალი მეტად ნაკლები იყო, სიმინდი და პური-კი ბლომად მოსვლიათ, და თუ სადმე სასყიდი ღვინო იშოვნეს დიდის სიამოვნებით სულ მცირე ფასად სცვლიან ნამუშავარს ღვინოზედ. ამითი კიდევც სარგებლობენ იმ სოფლის მცხოვრებნი, სადაც ღვინის მოსავალი უფრო მეტი იყო: მოაქვთ ღვინო და ასაღებენო.

იქიდავანვე: აქაურ სააბაშიძეთა ტყის საქმე, იმედია, სასურველად მოეწყოს. მთავრობისაგან განაწილებულ იქმნება ეს ტყე და აგრეთვე მოელოან „კომპანიის“, რომელმაც უნდა დაათვალიეროს და იჯარით აიღოს მთა, სადაც ბერი სხვა-და-სხვა მადნეულობა მოიპოვება. როგორც მაგალითად რკინა, ნავთი და სხვა მრავალგვარი მადანი. როგორც გავიგეთ, იქ თურმე სახლიც დაუქირავებიათ მთის საქმეთა მწარმოებელთა კონტორისათვის.

ცნინვალი. 27 იანვარს ცხინვალის ნორმალურ სკოლასთან დაწყებულ სამეურნეო ბაღში აშენებულ სათეატრო დარბაზში გამართული იქნება წარმოდგენა; ამისათვის ხსენებულ სამეურნეო განყოფილებასთან დაწყებულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ გაეგზავნოს უსასყი-



დლოდ საპატო ბილეთი. როგორც ამ დროებით, აგრეთვე ყოველთვის როცა წარმოადგენა იქნება თ. ასიკო ბიძინას-ძეს ერისთავს, რომელიც ყოველ წლიურად სწორავს ოც-ოც მანეთს ხსენებულ ბაღში აშენებულ შენობას, სადაც მოთავსებულია: სათავრო დარბაზი ლოკებით, გალერეა, ბიბლიოტეკა-სამკითხველო და საქაღებო სკოლა.

კორესპონდენცია.

სამშრუბაშანო (აფხაზეთი). დიდ ტანჯვა-მწუხარებაში ვართ ჩავარდნილი უზგოობის გამო. ჩვენს ვერც წოდებულ „ახალ შოშუხედ“ ბევრი უკრძამა ჩარჩენილ-ჩატყბილი; ერთი კაცი ცხენიანად ჩაფლულა ტალახში, კაცი ძლივს გადაჩრა სიკვდილს, ცხენი-კი იქვე ტალახში დარჩა. ხიდები თითქო გაგვიკეთესო, მაგრამ ხიდების თავებზე მიწა როდია მიყრილი და ცხენიანი მგზავრი ვერ მიუღდება იმათ.

აქ შარშან თავ. ბ-კი ბძანდებოდა და დაგვირდა, სახალწლოდ გზა გაკეთებული გეგნებოდა. მას უკან ამაო მოლოდინში ვართ და ლამის გადავიწყდეს იმედი ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესებისა. დალოცვილი ჩვენი უფროსები გზების დასათვლიერებლად სწორედ ზაფხულს შეურჩევნებ ხოლმე, როდესაც ბევრი მდინარე ამომშრალია. ნეტავი ახლა აჩვენათ, თუ ჩვენსავით ისინიც არ იტირებენ ჩვენის გზების უფარვის სობაზედ.

შარშან აქ კომლზე ცხრა-ცხრა მანეთი გადახდებიან ხალხს გზების გასაკეთებლად და ჯერ-ჯერობით არც

გზა გვაქვს, არც ხიდები. ჩვენში ამას წინად სამინისტრო სკოლების ისპექტორი მობრძანდა. იქითობისას მუხუროს სამრევლო სკოლაში შესულა ბავშვების გამოსაცდელად. სკოლის შაგირდები ბ-ს ი-რს ქართულში უფრო შეგნებული უნახავს ვიდრე რუსულში. ეს არ მოსწონებია ბ-ს ი-რს და მისწავლებლისათვის დიდი საყვედური უთქვამს. ამ ვამად საეპარქიო სამოსწავლო რჩევამ მოხსენებული სკოლის შაგირდების გამოსაცდელად ცალკე პირი გამოგზავნა (ფ. მარ-ნის).

სუბუქის სასულიერო მთავრობამ მოითხოვა განაჩენი ყოველ საზოგადოებისაგან ჩვენ სკოლებში დედა-ენის სწავლების შესახებ. რამდენიმე საზოგადოებამ სურვილი განაცხადა და განაჩენიც შეადგინა, უსათუოდ ქართული გვასწავლეთო, ხოლო სოფლის მწერლები ზოგან გაჯიუტდნენ. ქართული რად გინდათ, ჩვენ ხომ მუდამ რუსულად ვწერთ «რაპორტებსაო» ჩვენ ვერ გამოგვიყენებია ქართულ ენა და ჩვენი მომავალი თაობა ნეტავ რაში გამოიყენებო. რამდენიმე ვუბატონი დიდ ოინებს სხადიან ქართული ენის წინააღმდეგ. ქუცმაცობით სხვისი ყურადღების დამსახურებას სცდილობენ ესენი გახლავს ჩვენი ქვეყნის ახლად აფუშებული პატრიოტები. ამ ჯურის მოღვაწენი რვა-ცხრა წლის წინედ სამეგრელოში გაჩნდნენ. ახლა ბედმა არც ჩვენ დაგვადლო უმოწყალოდ. ამგვარი დევ-გმირები დღეს ბაცილებივით მრავალდებიან სამურზაყანო-აფხაზეთში.

ვანო ოქ-მელი.

ნარკვევა

(ეურნალ-გაზეთებიდან.)

„კვალის“ № 4-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნ დუტუ მეგრელისა წყალ-დილობის შესახებ. მოგვყავს საგნებით ეს წერილი:

ყოველგან მიღებულია საქველმოქმედო მიზნით სპლიტინგო გრუბულთა გამოცემა. მაგალითად, ამის წინათ დიდ შემოღობის დროს რუსეთში მრავალი ამისთანა გრუბული გამოიცა. რუსეთის ყველს სპექტესო მწერლებმა მიიღეს მსურველ მოწინააღმდეგე ამ საქმეში და ყურნალ-გაზეთების რედაქციებმა და სხვა და სხვა საზოგადოებამ კი თითქო ერთმანეთს კვებობდნენ, ახს ვინ უფრო კარგ გრუბულს შეადგენსო. არ იქნებოდა ურთვე, ჩვენც გამოგვეტყუა და დამოხმობა დასწავლულთა სსსარგებლოთ ამისთანა გრუბული. ამით ჩვენ ორ კეთილ საქმეს გავკეთებდით. პირველი გავსარგებლეთ დაკუმარებოდათ მცირეთ მანც და მეორე, ქართულ საზოგადოებაში ერთ რაიან წიგნს კადეკ დაჯტრიალებდით, რომელსაც ყოველი გათხვის მცოდნე ქართული უკველთ შეამენდა. არც მხელა ეს საქმე და თითქმის არავითარ სარჯს არ მოითხოვს გრუბულის შედგენა და გამოცემა, რადგან დაწმუხებული კარ, ყველს ჩვენი მწერალი სიმამრებოთ უძღვანს თავის კალმის ნაწარმოებს, ხოლო ქართული მესტამბეუბა კი სიმამრებოთ აკისრებენ გრუბულის უსსყველათ დაბეჭდას. ქადადას სასყიდლოდ ფული და სხვა უკრძამიანსათვის საჭირო სარჯი ხომ სულ მა-

ლე შეიკრებება, თუ ერთმა აჩაგინ გამოიღო, ოდონდ აკისრის ვინმე ეს საქმე. მე მგონია ქართულმა რედაქციებმა უნდა აკისრონ გრუბულის შედგენა და გამოცემა და თუ ცალცალკე არს, ერთათ მანც გამოცენ, რითაც შეძლებს მისცემენ ჩვენს მწერლებს, რომელთაც ფულით დახმარება არ შეუძლიათ აღმოუჩინონ გავსარგებლეთ, კალმით მანც დახმარონ და სინადასს მოთხოვნილება დააკმაყოფილონ ცოტათი მანც... არ შეიძლება სიმამრებოთ არ მივეგებოთ ამ აზრს და არ ვუსურვოთ მას განხორციელება. მეჩის მეტი გულგრილობა გამოიჩინა იმ ნაწილში ჩვენის საზოგადოებისამ, რომელსაც შეეძლო დიდი დახმარება აღმოეჩინა წყალ-დილობით დახარალებულთათვის. არ იქნება ცული ეხლა ჩვენი განათლებული ახალგაზრობა ეცადოს რაიმე ნაირი დახმარება აღმოეჩინოს დახარალებულთ სხვა რომ არ იყოს „სინიდისის დასაკმაყოფილებლად მანც“. ჩვენ ვიცით, რომ ამირებენ კიდევაც ასეთის კრებულის გამოცემას. საჭიროა მხოლოდ დიდად არ დაგვიანდეს ეს გამოცემა და რაც შეიძლება კარგად იყოს გამოცემული. ფასი-კი შეიძლება ჩვეულებრივზედ მეტი დაედვას, რადგან საქველმოქმედო აზრით იქნება გამოცემული.

უცხოეთი

საზრანბთში. ორ კვირაზე მეტია, რაც დაიწყო საფრანგეთის პარლამენტის სესია და ჯერ-ჯერობით სა-

და, ოდონდ შესრულებულიყო ის, რაზედაც ეკიდა ჩვენი სწავლა-განათლების საქმე, ჩვენი საბოლოო გრიგოლი იყო წინააღმდეგი ყოფიანის მარშლად არჩევისა და ბევრიც კიდევ სხვა უსიამოვნება მოუხდათ. აი, სწორედ ამ ამბების უკან, რასა სწერს სხვათა შორის ყოფიანი გრიგოლს. წერილი არის დანიშნული 31 აგვისტოთი 1864 წ.

„კერძობითად მე იქნება დანაშაული მიმიძოდეს რამე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყვე წყრომი-სა, თუმცა-კი დიდის სიამოვნებით შევიანებდი, რომ ვიცოდე, რა არის ჩემი დანაშაული. მაგრამ რაც მოხდა—მოხდა. მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მივმართავ თქვენს ბრწყინვალეობას: დიდ შემწეობას გვედრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც უეჭველია ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენი კეთილი გულისაგან შეუწყნარებლად განაგდებთ... ასრე იმდაბლებდა ყოფიანი თავს საზოგადო საქმისათვის. მაგრამ ბევრად არც ამან გასკრა. მეტმა წილმა დიდ-კაცობისა დიდი მამულების პატრონებმა არ მისცეს მხარი ყოფიანსა.

უკეთესი მომხრე ამ საქმეში ყოფიანისა, როგორა გგონია მკითხველო, ვინ გახდა?—ბარონი ნაკოლაი, გუბერნატორი ორლოვსკი, მთავრობა... მოხერხებული საქმის დაჭერით, სამავალითო თავის ცამოდებთ, ყოფიანმა მოახერხა, რომ, გარდა თავდა-ზნაურთაგან შეწირული რვაათისა თუმისა ბანკის შესარდგენათ, მთავრობამ სწორედ ერთი

მინისტროს საქმე კარგად მიდის. რამდენიმე კენჭის ყრამ რადიკალთა კაბინეტს უმრავლესობა არგუნა. მე-მარცხენე დასები ისევ ენერგიულ დახმარებას უჩენენ სამინისტროს. განსაცდელი კაბინეტს მოელის სენატიდამ, სადაც ოპორტუნისტები ამირებენ, წინააღმდეგობა გაუწიონ კაბინეტის ყოველ რადიკალურ პროექტს. სწორედ ამ ხასიათის იყო სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა სენატის ახალ პრეზიდენტმა—ლუბემ.

მსპანიბა. ახლად დანიშნული ესპანიის ჯარების სარდლად კუბაზე გენერალი ვეილური საჩქაროდ წავიდა ესპანიიდან თავის შტაბით. სანამ ვეილური შეუდგებოდეს აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებას, განზრახულია ცხენოსან ჯარის გაძლიერება, რაც თხოულობს დიდ-ძალ ხარჯს. ჯერ-ჯერობით კუბის აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად ესპანიამ დახარჯა 250 მილიონი, ესე იგი ყოველ დღე იხარჯება 1 მილიონი პეზეტი. ესპანიის მთავრობამ უკვე ისესხა 150 მილიონი. ამ ვამადაც სესხულობს 50 მილიონს, მაგრამ ესპანიის ბანკი მთლად ამ ფულს არ იძლევა, თანახმა მხოლოდ ნახევარი გასცეს. თანხის გაძლიერებისთვის ვეილურს განუზრახავს კუბის მცხოვრებთ მიუმატოს გარდასახალი.

გერმანიბა. მკითხველთ ახსოვთ, რასაკვირველია, სიტყვა, რომელიც გერმანიის იუმბლიეს დღეს წარმოსთქვა იმპერატორმა ვილჰელმმა. ამ სიტყვის ზოგიერთ ადგილებიდან სჩანს, რომ ვილჰელმი იმდენად უკმაყოფილოა გერმანიის საზღვაო ძლიერე-

ორად მეტი ფული მოსცა თავდა-ზნაურობას ამავე საქმისათვის...

ყოფიანი თავის წერილებში მთავრობის პირებთანაც ერთსა და იმავეს შესძახოდა, რომ ეხლა ჩვენი ხსნა სწავლა-განათლებაშია და მთავრობა უნდა ყოველი თავისი ღონით და განვლენით დაგვეხმაროსო.

ამ დამახილზედ, ამ ვედრებაზედ, ამ შეგონებაზედ ქვეყნის საბოლოოს დასაცველად, თავდა-ზნაურობა შეიძრა. მთელი სიღნაღის მაზრა უკლებლივ დიდდამ პატარამდის, სახელოვანი ივანე მლახაზი ანდრონიკაშვილიდამ დაწყობილი, უკანასკნელსაზნაურამდის მოეხმარნენ ყოფიანს.

ყველა, გარდა მეტი წილი დიდ-კაცობისა, ჰხედავდა და ჰგონობდა, რომ ამას იქით ერთად ერთი სახსარი თავისს პატრონობისა, თავისს ჩრენისა იყო სწავლა განათლება, რომ ამაზედ უკეთესი სახსარი არც მოუგონია და ვერც მოიგონებს კაცობრიობა კაცთა სარჩენად, კაცთა წარმატებისათვის. ყველა კრებაზედ გარდასწყვიტეს გაიღონ ყმებში მოცემული ფულიდამ მანეთზედ აბაზი ბანკის შესადგენად, რომ ბანკის მოგებიდამ აღზრდილიყვნენ მათი შვილები, ვინც ამ საქმეს სწირავდა ფულსა.

ანტ. ფურცელაძე.

(დასასრული იქნება).

მელიც ამისი პირადი მეგობარიყო, შესძრა უზღის მარშლები, უპირველესი საქართველოს პირები, მთელი ქართლ-კახეთის თავდა-ზნაურობა წერილებით, პირად მოლაპარაკებით, შესძახოდა, აგონებდა მომავლის წინ მოვალეობას და შევედრიდა დახმარებოდნენ ამას ამ დიდს საქმეში. ჩამოუარა მთელს ქართლ-კახეთს, და უარა ოჯახებს; აიღო ნება საგანგებო უზღის თავდა-ზნაურთა კრებებისა; ესწრებოდა ამ კრებებზედ; მხურვალე გულით, ცხარე რიხიანი, შეწყობილი, დასაბუთებული სიტყვებით, რომლებსაც უკეთესი იქნება თვით უმაღლესად განათლებულს ვეროპის ერემშიაც ძვირად გაისმოდეს *), შეასმენდა თავდა-ზნაურთა ამ დიდი საშვილის-შვილო საქმის კისრებას.

აი, სხვათა შორის ალაგები ზოგიერთა მისი წერილებისა ამ საქმეზედ. 9 ნოემბერს 1864 წ. ისა სწერს თბილისის გუბერნიის თავდა-ზნაურობას.

ჩვენმა ყმებმა თავისუფლება მიიღეს;—მათის სამსახურის მაგიერად ჩვენ გვეძლევა ხელმწიფის სიუხვიდგან ფული.*

სიმართლით და წინამხედველობის ვალდებულებით რიგი იქნებოდა, რომ ეს ფული ერთიანად ან უმეტესი ნაწილი მანც შესანახავად გადაგვედგა ჩვენის შვილებისა და მემკვიდრეებისათვის.*

მაგრამ მეტყვიან რომელიმე, ამ ვამად თვითონ ჩვენ გვიჭირს საქ-

მეო... და ჩვენს შთამომავლობას რომ არა დაუგდით-რა, ვის რა დავა აქვსო.*

„დიად, მართალია და დიად საფუძვლიანი იქნება ეს სიტყვა, მაგრამ ჩვენში მე ისრეთი შვილების პატრონი მამა არ მეგულებო, რომ ამ სიტყვას დაადგეს და შვილებისთვის აღარ იზრუნოს;—არც არავინ ისეთი უშვილო მეგულებო, რომ იტყოდეს, მე კარგად ვიყო და ქვეყანა წყალმაც წაიღოსო.*

ამის გამო არა იმათ, არამედ ყოველთავე თავდა-ზნაურთა მოგმართავთ, რომელთაც შეგიძლიათ ნათელი გონიერებითაც ცხადათ დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგათ ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაძევთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე—თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოთ მოიხმართ.*

„...მე მხოლოდ ამას გიჩრევთ, გთხოვთ და გვედრებით, რომ ერთი მგზუთელი მანც გადასდვათ თქვენთვისვე სახვალიოდ და თქვენის შვილებისა, შვილის-შვილებისა და უშორესის შთამომავლობისთვის...“

„ნუ ასჩქარდებით უარის თქმით; აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისათვის არის კარგი,—და აქ თუ უარი წარმოსთქვით, გამოტყბილი უნდა ვსთქვა, რომ ასეთი ცული საქმე დაგვემართება ყოველთავე, რომ გამოკეთება აღარას დროს აღარ შეიძლებოდეს...“

31 აგვისტოს 1864 წ. ისა სწერს უზღის მარშლებს დიდიგეორგის

შემდეგს: „ჩვენი ბატონყმობის საქმე ამ მომავალს ნოემბერში უნდა დაბოლოვდეს. კეთილ გონიერება გვაწვევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენი შვილების აღზრდას მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსაგებელს ისე ვერა აღადგენს-რა და ვერა შეავსებს-რა, როგორც სწავლა განათლება ჩვენი შთამომავლობისა...“

„სხვა მრავალს მსხვერპლთან გავბედოთ ერთი ისრეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველს დროიდგან განთქმულს ქველის მოქმედებას და კეთილშობილებას შეეფერებოდეს, და ერთი ერთმანეთს ხელი მივიწვდინოთ ჩვენი შვილებისა და შთამომავლობის სწავლა განათლებაზედ...“

„მნათილამ აბაზი გადავდოთ იმ ფულიდამ, რაც ყმების სამსახურის მაგიერად გვებოძება.“

„ამას მე ვითხოვდი საზოგადოებისაგან დიდის ვედრებით, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენს საზოგადოებას თხოვნა-კი არ უნდა, მხოლოდ მოგონება არის საჭირო. წინააღმდეგობას თუ ვინმე იწებებს, ამას მე ვერას დროს ვერ ვიფიქრებ და ქართველთა კეთილშობილებას ამას ვერ შევკადრებ...“

იმ წიგნთა და მიწერ-მოწერათა შორის, რომლებითაც ყოფიანმა შესძრა ყველა, ვისი დახმარეც საჭირო იყო ამ საქმეში, არის საყურადღებო წიგნი გრიგოლ ორბელიანთან. ჩვენ ეს წიგნი და ამბავი, რაც ამ წიგნამდის ყოფიანსა და გრიგოლს შუამოხდა, გვაჩვენებს, სადამდის იყო ყოფიანი გატაცებული ამ საქმით, რომ ის თავის თავ-მოყვარებასაც არა ჰზოგავ-

*) სამწუხაროდ, ყოფიანი ამ ხანებში და ყოფიანი მისი სიკაცობის ბოლოს ხანებში სულ სხვა და სხვა იყო, თითქმის საცნობი ალარ იყო.



ბით, რამდენად კმაყოფილია ხმელეთის ჯარის მოწყობით. ზერლინის განცხადებით, ვილჰელმს ძალიან ძვირად ღირსდა, რომელიც გერმანიის ფლოტა ინტენსივად ამობენ მთავრობის განუზრახავს ამ მოკლე ხანში მოსახლეობის პარლამენტს ხსენებულ საგნისათვის საჭირო კრედიტით. თითქმის ყველა მიმართულების განხორციელება, საექსპორტო პარლამენტმა გარდადგის ეს კრედიტი, რადგან სამხედრო საქმისათვის ისედაც დიდ ძალი ფული იხარჯება. ამობენ თვით კანცლერი ჰოპენლოე წინააღმდეგა სამხედრო ხარჯის მომატებისა და ამიტომაც გავრცელდა ამ დღეებში ხმა, ვითომც ჰოპენლოე სამსახურს თავს ანებებდეს.

ინგლისი. ტილორსტაუნდამ დეპუტატად იტყობინებინა, რომ იქაურს ქვეანბნის მადნებში საშინელი აფეთქება მოხდა; აფეთქების დროს მომხდარულმა მიწამ 80 მუშა ქვემო მოიტანა. მეორე დღეს მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ცოცხლად ამოუთხრათ 33 კაცი, 15 მოკლულნი, 42 კაცი ჯერ ვერ უპოვნიათ.

ავსტრალია. უკანასკნელის ცნობებიდან სჩანს, რომ ავსტრალიისა და უნგრეთის შორის შეთანხმების საგანი თან-და-თან მშვიდდება. უნგრელები არაფერს უთმობენ გერმანელთა და განუზრახავთ შეიარაღებულ უწინდებურად ზოგიერთი პრივილეგია საერთო ხარჯის გაწერაში და გაყოფაში. ბადენი შიშობს, შეთანხმების მოხდენა მეტად გაჭირდება და შეიძლება ამ საგანმა სამინისტრო კრიზისი გამოიწვიოს, როგორც ავსტრალიაში, ისე უნგრეთში.

ურანალ-გაზეთებისადმი და წიგნებისადმი ამოკრებილი ამბები.

ინგლისელს რჩიარდ დავის დაწერილი ერთი ინგლისურ ჟურნალში ამავე თვისთვის სულთანის პარამუნისა და თვით სულთანის ელანდელი ყოფი-ცხოვრებისა. ავტორი ეზლა-ხან ყოფილა კონსტანტინოპოლში და, მასწავლებელი იმის ნაამბობს სხვათა შორის აქვს ღირსება ახალისაცა. ყოფილ უფინარეს რჩიარდ დავი ყურადღებას აქცევს იმ დიდ-მნიშვნელობის საგანს, რომ ტანტის მემკვიდრეობა ოტომანთა იმპერიაში არ არის გამოაკვეთილი და თვით მამამსა თავის ყოფილში არა უთქვამს-რა იმაზე თუ — რა წესით უნდა იყოს მემკვიდრეობა ტანტისა. პირველ ხანებში ტანტის მემკვიდრეობა გადადიოდა მამამის მასობელ თანამოღვაწეებზე, მერე ომადის და აბასიდების გვარეულობა ძალიანა ჰქდილობდა რაიმე წესი და რიგი დადგინათ და სწორედ განზე დაეყენებინათ ოსმალეთში მემკვიდრეობა ტანტისა, მაგრამ ვერ მოახერხეს. იმ დღიდან, როცა სულაიმანმა პირველი ადგილი დაიკრეს ოსმალეთში, ჩვეულებად გახდა, რომ გვარეულობაში უფროსს მიეღო სულთნობა და უღესაც ასეთი წესი მოქმედობდა. ეს არის მიზეზი, რომ ერთის მხრით ასე ხშირია ხოლმე შინაური ტრაგედიები სულთანის სახელეულობაში და მეორეს მხრით — ჩვეულებად გახდა მემკვიდრე სულთანისა ინახონ ისე, როგორც ტანტი, მინამ სულთან იცოცხლოდა, რადგანაც საშინაო არა შეამთხვის-რა სულთანსა. პირველ შემთხვევისათვის არის ერთი ირადე (ოქმი) მოკაბედ II-სა, რომელითაც ნება ეძლევა სულთანს ამოხოცოს მთელი თვისი ნათესაობა მამრობითის სქესისა, რომ ტანტი მისს შეიღოს დარჩეს და მეორე შემთხვე-

ვისათვის არის ფირმანი სელიმ II-სა, რომელიც უკრძალავს სულთანის ნათესავეებს რაიმე მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეებში და ამიტომაც დამწყვედელი უნდა იყვნენ ძალიან სასტიკად. რასაკვირველია, რომ ყოველ ამის გამო მემკვიდრე სულთანსა ტყვესავეთ ჰყავთ და არა ვითარ სულთანისძებნას არ აძლევენ იცოდეს ის, რაც საჭიროა იმისთანა კაცისათვის, რომელსაც ბედი ხელთ ჩაუვდებდეს უშველებელ იმპერიის მართვისა და გამგეობას. მისი განზა და განათლება დამოკიდებულია იმაზე, ვის ხელშია შეთხვევა ჩაადგება— ოსმალთა იქნება, თუ ევროპელები.

ამ სახით ახდულ-პამიდის ელანდელი მემკვიდრედ საგულეებელი მისი უმცროსი ძმა, რეზიდ-ფაჰრიდი კარ-ჩაკეტული და დამწყვედელი თავის პარამუნაში შერახანის სასახლეში და ნებას არ აძლევენ არამც თუ ინახულს ვინმე, არამედ წიგნების, განხორციელების და მოკითხვის ბარათების მიღებისასაც, რომ ხშირია მოკვლა სულთნების ოსმალეთში, ამისათვის საკმაო ფურცენოთ, რომ ამ XIX საუკუნეში ოთხი სულთანია მოკლული და ხუთი სულთანს ძალად აღდგინეს ხელი სულთნობაზე.

უპირველეს და უდიდეს კაცად სულთანის შემდეგ ითვლება შეიხ-ულ-ისლამი, თავი და თავი გამგებელი მამადის რაჯულისა. იგი სულიერი მოადგილეა ხილ-ულ-ლახისა (დღის აზრდელისა) და სმერ-ულ-მუსლემინისა (მუსლემანთა მღვდელ-მთავრისა). ასე ღვთის აზრდელად და მუსლემანთა მღვდელ-მთავრად ოსმალეთში უწოდებენ სულთანსა. იგი შეიხ-ულ-ისლამი განაგებს სასულიერო საქმეთა სულთანის სახელითა. თუმცა სულთანს შეუძლიან წმინცი-ულ-ისლამი დადასტონოს, მაგრამ ამ სასულიერო წოდების უმაღლესის „გვამის“ ნებაც საჭიროა ხოლმე თვით სულთანის გადაწყვეტისათვის, ან თვითდამ მოზარებისათვის, ამიტომაც, როცა მიღ-პატ-ფაშამ შეთქმულება გამართა ახლულ-აზიზის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა ჩამოართვა ნება-რთვის ქალაქი მაშინდელ შეიხ-ულ-ისლამსა, ჰასან-პირულანს, უამისოდ ჯარი დაშხედრობა თვითონ შეთქმულებს მიესჯოდა.

მეორე უმაღლესი მოხელე ოტომანთა იმპერიისა დიდ-ფეხრიია, რომლის მოხელეობა ევროპეულ პირველ მინისტრის ხელეობას უდრის, თუმცა უფრო მომეტებულია შეზღუდულია. ძველ დროში ეს თანამდებობა ვერაფერი „სასიამოვნო იყო და წარსულსა-უკუნეში ასამდე დიდ-ფეხრის ძალად იყვნენ მოკლულნი. ჯერ „ბეგრე“ ხანი არ არის მას შემდეგ, რომ დიდ-ფეხრის ატლასის ტანსამოსით დადიოდნენ და „თავზე“ უხრათ ჩაღმა, ძვირფასის თვლებით მორთული. ენლა-კი ელანდელი სამხედრო მუნდირები აცვიათ.

მესამე ადგილი სულთანის სასახლეში უჭირავს ყიზლარ-ადლისის, უფროსი შავთა სატურისთა. ეს სატურისნი, თუმცა რიცხვი მათი ეზლა შემიკრებულა, მინც მთელს ლაშკარს წარმოადგენენ. საცა პარამუნაა, იქ ამისთანა ამავეი გასაკვირველი არ არის. (6. ს.).

წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნებას მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოგვცხადო: 1. ბათის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს დაკითხვანაშვილს, რომელმაც სოფ. სტეფანაწმინდის წიგნთ-საცავისათვის გადამოტეხუთა მან.; 2. კაპკასის ქართული სკოლის მასწავლებელს ლუკასა ბოცაძეს, — შექოსწიანს ზემოსკნებულს წიგნთ-საცავს 5 ცალი ქართული წიგნი; 3. ივანე ჩიბუკის, — შექოსწიანს წიგნთ-საცავს 14 ცალი წიგნი ივანე როსტომაშვილის გამოცემა; 4. კობის ფოსტის ტელეგრაფის უფროსს ალექსანდრე თულაშვილს, რომელმაც ჩემდამი წმინტეზულის სკოლის მოწაფეებისათვის

*) ზოგს ხვალ მოგახსენებთ ამავე საგანზე რედ.

დასახელებად გამოგზავნა 7 ცალი — „ქაჯანა“ და 7 ცალი „ნაგალანინა“; აგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნი: მდ. მამა წაქარაა კობაძეს, ანდრია კობაძეს, იაკობ ლუღუშაშვილს, ესტატე ლუღუშაშვილს, ზაქარე ლუღუშაშვილს, სვიმონ შადუნს, გაბრიელ ბუღაშვილს, სტეფანე ხალაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოაჩინეს ჩემდამი წმინტეზულის სოფ. სტეფან-წმინდის სკოლის მოწაფეებისათვის შობის ხის გამართვაში. აგრეთვე ჩვენებს მედქნეებს: ილიკო თაფაძეს, იაკობ ლუღუშაშვილს და ისაკ ხალაშვილს, რომელნიც შეგპაწიგნენ ხალათ ამ საქმისათვის.

მასწავლებელი გიორგი ნათაძე.

P. S. ჩვენი წიგნთ-საცავის საქმე ძალიან ნელას ნაბიჯით მიდის. წიგნების კითხვის შესრულება ბევრნაა აჩიან, მხოლოდ წიგნები ცოტა გვაქვს. საზოგადოდ ჩვენი წიგნთ-საცავი ნაკლებად იზიდავს ქართველ საზოგადოების ყურადღებას. ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ეს ხალხი უფრო ყურადღების ღირსია, რადგანაც მოწყვეტილად დახარხარეს საქართველოსთან და გარეშე სულ უფრო ტომის ხალხს ახვევია. ამათა ცნობაებშია მოყვანა, გაძლიერება მათში კარგეზულის გრძობისა, მეორე უგანასკნელი საქმე არ უნდა იყოს ჩვენთვის. ამასთვის მეგობრთა ყველას და კსთხვად დაგვხმარნენ ამ საქმეში.

გ. ნ. 1896 წ. 15 იანვარს.

დეკემა

(რუსეთის დეკემბრის საგანგებო განცხადება).

20 იანვარი.

ვლადიმოსტოკი. სეულიდამ იუწყებიან, რომ იაპონიისა და რუსეთის ბარტიების ბრძოლა სასახლისა და აღმინისტრატურულ წრეებში ჯერ არ შემწყდარა. იაპონელები სცილობენ დამატაციონ, რომ კორეს უიაპონიოდ არსებობა არ შეუძლიან. იაპონელთა ინტრიგები დიდს უსიამოვნებასა და არეულობასა ჰბადებენ კორეს ნახევარ კუნძულზე; ლამის არის ეს მხარე მთლად გავერანდეს და მოხარდეს.

მენა. „ნეი ჭრეი პრეს“-ი აი რას ამბობს ბულგარიის საქმეების შესახებ: „პრინცი ფერდინანდი, რომელმაც მინისტრთა დაუკითხავად ინახულა პაპი, მინისტრებს ამტყუვნებს თქვენ დამაჩქარეთო. გრეკოვისა, ან რადოსლავოვის კაბინეტი არ შესდგება. პრინცი კობურგისას ორში ერთი-და დარჩენია: ან მართლ-მადიდებლობას შეუერთოს ბორისი, ან-და ტანტზე უარი სთქვას.“

მილანი. გალიანოს რაზმის ოფიცრები ბარტიების ბანაკში მთლად დამონძილის ტანისამოსითა და დაუხანგებულის იარაღით მივიდნენ. შოანელების მამაციობას ძლიერ აქებენ ოფიცრები. როგორც ელიან, აბესინელთა და ბარტიების ბრძოლა ექნებათ მალე.

სოფია. არეულობის მოსასპობად

სამხედრო საშუალებანი მიღებულნი.

21 იანვარი.

პარისი. რესპუბლიკის პრეზიდენტი მარტში იმპერატორს ფრანციოსებს ინახულებს ნიცაში. ამავე დროს ფორი ინახულებს აგრეთვე დელოფალს ვიქტორიასც.

სოფია. დღეს დილით აქ პრინცი ფერდინანდი კობურგისა ჩამოვიდა. ვოჯალზე არც ერთი მინისტრი არ დაუხვდა, რადგანაც პრინცი ეთხონა ნუ დამიხვდებოთო. გრეკოვმა განაცხადა, რომ ტყუილია ის უცხოეთის განხორციელების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ მე და პრინცი კობურგისას მოლაპარაკება რამ გვეკონდეს ერთმანეთთანაო.

ლონდონი. დღევანდელს ნადიმე მაკიზმა სოლსბერ იმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც, სხვათა შორის, სთქვა: „ნამდვილად ამტკიცებენ, ვითომ მთავრობა მოვალე იყოს სომხებს უშველოს, ე. ი. სულთანს ომი გამოუცხადოსო“. თვით სოლსბერის შეუძლიან შეპინიშნოს, რომ ოსმალეთში რეფორმების შემოღებას ექვსი უდიდესი სახელმწიფო ადენებს თვალს. „არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინგლისი უთუოდ ჩაერევა საქმეში, რათა ამითი სულთანი აძულლოს— ჰმართოს მან სომხების საქმე სულ სხვა გზად, ვიდრე ეს თვით სულთანსა ჰსურს. რეფორმების სავსებით განხორციელებისათვის დროა საჭირო. სულთანის მთავრობა მართლა სუსტია, საბრალოსი და გამოუსადეგარია, მაგრამ ისაც ფანტაზია იქნებოდა, ვიფიქროთ, რომ ფანატიკოსნი-მუსლიმანნი სულთანის ბრძინებისამებრ იქცეოდნენ ასე მხეცურად. ინგლისი ქომავობას სრულიადაც ვერ გაუწევს, რადგანაც არ ჰქონდა მინდობილი მცირე აზია ჯარებით დაეპყრო“. მარკიზი სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ევროპის ერთმა რომელმამე სახელმწიფომ მოისურვოს ამ მხარის დაპყრობა. „სულთანს უნდა დრო მიეცეთ. სხვა საშუალები არა გვაქვს. ჩვენ რომ სხვა სახელმწიფოებთან ერთად არ ვიმოქმედოთ, ამითი თვით მათ გაუფრედით წინააღმდეგობას და გამოვიწვევით უფრო უარესს უბედურებას, ვიდრე იგია, რომლის თავიდან აცილებასაც სცილობდნენ“.

22 იანვარი.

პეტერბურგი. რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებამ გადაიხადა 50 წლის იუბილე. დავსწრენ: დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე, გიორგი მიხეილის ძე, ალექსანდრე მიხეილის ძე და გიორგი გიორგის ძე, მეკლენბურგ-სტრელიცის ჰერცოგი. სანამ სხდომა დაიწყებოდა, სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადა. შინაგან საქმეთა მინისტრმა წაიკითხა უმაღლესი რესკრიპტი, რომლითაც საზოგადოებას ეწყალოდა კიდევ 15,000 მან. სუბსიდიო. წაკითხულ იქნა უწინდელი უმაღლესი რესკრიპტი. შემდეგ თავმჯდომარის თანაშემწემ სიმონოვმა სიტყვა

წარმოსთქვა. მერე დაიწყო დეპუტატთა მიღება. სამეცნიერო აკადემიისაგან წარმოგზავნილ დეპუტატებს წინ მიუძღოდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, რომელმაც წაიკითხა ადრესი. შემდეგ წაიკითხეს დეპუტატი უმაღლესი პირთაგან გამოგზავნილი, დიდა მთავართა ვლადიმერ ალექსანდრეს ძისა და საგეოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ნიკოლოზ მიხეილის ძისაგან. უცხო ქვეყნების სხვა დასხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან მიღებულთა 38 მოსალოცავი დეპუტატი, რუსეთიდან— ასზე მეტი.

ბერლინი. დიდის ჰერცოგის ოლდენბურგის მეუღლე მიიცვალა.

მენა. სოფიის ოფიციალური განხორციელება ამობენ, რომ პრინცი ბორისი უტყვევლად მიიღებს მართლმადიდებლობასაო.

კონსტანტინოპოლი. ჩრდილო ამერიკის შტატები თხოულობენ, რომ მათ გემს „სანფრანცისკოსაც“ ნება დართონ სტაციონერად იქნეს. ოსმალეთის მთავრობამ ამაზედ პასუხი უკო, რომ ეს საქმე იმ მთავრობათაც შეეხება, რომელთაც ცნობილს ხელშეკრულებად აქვთ ხელი მოწერილი. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები-კი ამობენ, რადგანაც ჩვენ ამ მთავრობათა რიცხვში არ ურევივართ, ამიტომ მათი ხელშეკრულება ჩვენ არ გვეხებაო.

სოფია. თავმჯდომარე სამინისტროსი სტოილოვი ინახულა პრინცი კობურგისამ, ამის შემდეგ სტოილოვმა განუცხადა, რომ კრიზისი დასრულდა: პროკლამაცია პრინცი ბორისის მართლმადიდებლად მონათვლის შესახებ ხვალ იქნება გამოცხადებულიო.

ცეზინი. სკუტარის გუბერნატორის თანაშემწე ოსმალთა დათხოვნილ იქნა სამსახურიდამ. მის მაგიერად დანიშნეს ქრისტინე-კათოლიკე.

ბანსხალკანი

ქართული ტეატრი.

ოთხშაბათს 24 იანვარს, 1896 წ.

ქართულ დამატებულ საზოგადოების დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

გ. მ. მ.

საბენეფისოდ

ზიარეულად ახალი ჰაის

ვიგაროს ქორხილი

ანუ

გიუმაყიანი დე

კომედია 5 მოქმედებად თარგმანი ს. ჭკელაშვილისა მეორე.

მონაწილეობას ლებულობენ: საფაროვისა, ავლოვისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნი ყიფიანი, ალექს. მესხივი, გედევანოვი, გუნია, სვიონიძე, კანდელაკი, ადამიძე, მკედლიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მოწაფეებისათვის ადგილები ლოქების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

პარასკევს, 26 იანვარს, დანიშნულია ბენეფისი მ. მ. საფაროვისა რევისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი